«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## „დროების" ფასი პირველის აპრილიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი და 50 კაპ.

საზაფხულო თეატრი.

კვირას, 25 მარტს, იქნება

**კონცერტი**

მეორე გიმნაზიის მერვე კლასის ღარიბთა მოწაფეთა სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ბიჩურინისა, ბ.ბ. ლევიცკი, რატილი, კნინა, ბეტინგი, რიაბინინი, კესნერი, დიუმა, გარნოვიჩი, ტხორჟევსკი, იპპოლიტოვი - ივანოვი და პოტაპოვი (არტისტი იმპერატორის ორკესტრისა) და სხ. ბილეთების ყიდვა შეიძლება ლანკოს მაღაზიაში და შავერდოვთან; კონცერტის საღამოს — თეატრის კასაში. (2—1)

ოც-და-ხუთს ამა მარტის თვესა, თერთმეტს საათზედ დილით, ძველს ინსტიტუტის ქუჩაზედ, ბაისოღოლოვის სახლებში, თავად-აზნაურობის სკოლაში, იქნება განსაკუთრებითი თავად-აზნაურობის კრება თბილისის მაზრისა განსახილველად და დასამტკიცებლად იმ სიებით გამოსართმევი ფულისა, რომელიც შეადგინა კომისიამ, როგორათაც თავად-აზნაურობის შვილების აღსაზრდელად, აგრეთვე თბილისის კეთილშობილთ დეპუტატთ კრების და მარშლების კანცელარიების შესანახავად. ვაცნობებ რა ამას თავად-აზნაურობას თბილისის მაზრისას, ამასაც ვალად ვრაცხ დავუმატო, რომ შემდეგ გათავებისა განსაკუთრებითი თავად-აზნაურობის კრებისა, აღარა ვითარიმე პასუხი და თხოვნა აღარ მიიღების წინააღმდეგ იმ სიებისა, რომელთაც დაამტკიცებს მაზრის თავად-აზნაურობის კრება. (3—2)

## შინაური ქრონიკა

≈≈ ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენის ისტორიის მცოდნე ბ-ნი **დ.** ბაქრაძე შესდგომია დაბეჭდვას ვახუშტის მიერ შედგენილ **ს**აქართველოს ისტორიის პირველის ნაწილისას. **ეს** ნაწილი დღემდე ხელ-ნაწერად არის დარჩენილი, წარმოადგენს კარგა მოზდილს ტომს და შეიცავს **ქ**ართლის ცხოვრების ამბავს დასაწყისიდამ ვახტანგ **VI**-ს მეფობამდე. მეორე ნახევარი ამ შრომისა, რომელიც იწყობა მე-**13** საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის მეფობიდამ, არის დაბეჭდილი სათაურით **«ქართლის ცხოვრება»** პროფესორის **ჩ**უბინაშვილის რედაქტორობით. **ეს** დაბეჭდილი ტომი ითვლება მეორე ტომად **«ქართლის ცხოვრებისა»** და სრულიად არ წარმოადგენს მატიანეს (გარდა ზოგიერთა ბოლოში ჩართული წერილებისა). მატიანეს წარმოადგენს მხოლოდ პირველი დაბეჭდილი ტომი, დაწერილი სხვა-და-სხვა დროს, სხვა-და-სხვა მემატიანეთაგან... იგი მოყვანილია მე-**13** საუკუნის დასასრულამდე და წყდება გიორგი ბრწინვალეს მეფობაზე. მატიანეს ფასი და მერე ნამდვილის მატიანესი, ჩვენგან განუმარტოებლადაც, ცხადია ყველასათვის, მაგრამ არც კერძო პირის ისტორიული შრომაა უყურადღებოდ დასატოვებელი და ფას-მოკლებული, მერე ისეთი მცოდნე პირის შრომა, როგორიც იყო ვახუშტი. ამისათვის დიდად სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს დაბეჭდვა ამ გვარის შრომის პირველი ნახევარისაც, დაწყებული უძველეს დროიდამ გიორგი ბრწყინვალემდე, მეტადრე, თუ ეს წიგნი დაიბეჭდება ისეთის მსწავლულის პირის ხელმძღვანელობით და რედაქტორობით, როგორიც არის ჩვენი ისტორიკოსი ბ. **დ.** ბაქრაძე. **ს**აფასე და წარსაგებელი ამ წიგნის დაბეჭდვისათვის უკისრია ერთს პირს, რომელიც დიდის გულ უხვობით ეგებება ყოველ ამგვარ საქვეყნო და სასარგებლო საქმეს. ბ-ნ **დ.** ბაქრაძეს აქვს განზრახვა გამოცემაში ჩაურთოს ვახუშტისგანვე შედგენილი **გ**ეოგრაფიული რუკები, რომელნიც გამოჰხატავენ საქართველოს სხვა-და-სხვა დროს გეოგრაფიულის ნომენკლატურის ცვლილებისამებრ.

ბ-ნ **დ.** ბაქრაძესვე მოუპოვებია ერთი ძველი (მე-**17** საუკუნეში გადაწერილი) ხელ-ნაწერი ჩვენის მატიანესი **«ქართლის-ცხოვრებისა»**, რომელიც ვახტანგ მეფეს ხელში ჰქონია და რომელსაც ერთ ალაგას მისის საკუთრის ხელით აქვს პატარა მიწერილობა. ბ. ბაქრაძეს დიდის გულმოდგინებით და შრომის მოყვარეობით, რომელიც საზოგადოდ მის განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს, შეუთანხმებია ეს ხელ-ნაწერი დაბეჭდილ **«ქართლის - ცხოვრებასთან»**, მრავალი განსხვავება აღმოუჩენია ამ ორ ვარიანტს შორის და, როგორც თვითვე გადმოგვცა, ეს განსხვავებანი დიდად საინტერესონი არიან და სრულიად სხვა ნათელსა ჰფენენ ისტორიულს ფაქტებსაო.

≈≈ ამას წინად ფოთის საბჭომ მიიღო მხედველობაში მდგომარეობა «პრიკაშჩიკებისა», რომელთაც მთელი კვირაობით არ ეღირსებათ ხოლმე დასვენება და წესად დასდვა, რომ კვირა და უქმე-დღეობით დილის 9 საათიდამ საღამოს **5** საათამდე დუქნები და მაღაზიები დაკეტილი იყოს. ამ განკარგულებას აუღელვებია ზოგიერთი ფოთელი ვაჭრები, რომელნიც ცდილობენ თურმე იგი ან სრულიად გააუქმებინონ, ან ისე მოახერხონ, რომ ვაჭრობა დილის **9** საათიდამ მარტო **12** საათამდე იყოს. თუმცა ეს ვაჭრები ძლიანა ცდილობენ და ხმოსნებსაც მოსვენებას არ აძლევენ, მაგრამ იმედი გვაქვსო, გვწერენ ფოთიდამ, რომ ხმოსნები ყურადღებას არ მიაქცევენ ანგაარების-მოყვარე ვაჭრების თხოვნას და თავიანთ განკარგულებას არ გაუქმებენო.

≈≈ ს. ბურჯაანიდამ (კახეთი) გვწერენ: «**11**-ს მარტს აქ იყო გამართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენა; ერთი დამწვარი ოჯახის სასარგებლოდ, რომელიც ამ ცოტა ხანში ისე უბედურად გადიწვა, რომ სულების მეტი ვერა გადაარჩინეს-რა. **წ**არმოადგინეს: «ბუტიაობა», «ცოლი თუ გინდა ეს არის», და «კაპიშონი». **წ**არმოდგენამ რიგიანად ჩაიარა.

«**დ**იდი მადლობის ღირსნი არიან **ა.** ა—ვისა, როგორც მოთავე ამ წარმოდგენისა, თ. **ზ**—ვისა, რომელმაც მშვენივრად აღასრულა თავისი როლი, და ყველა სცენის მოყვარენი, რადგან მათი მეცადინეობით მოგროვილი ათი თუმანი დიდ შეღავათს მისცემს დამწვარ ოჯახობასა».

≈≈ ახალციხიდამა გვწერენ: «ამ დილით დაასაფლავეს მაიორი ანდრეი ბიჩკოვი, ზარუშეთის მაზრის უფროსად ნამყოფი. განსვენებულმა უანდერძა **ათას-ორასი თუმანი** სკოლას, რომელიც უნდა დაარსდეს ს. გრენადერსკში, ზარუშეთის მაზრაში, და **ას** **თუმანზედ** მეტი აქაურ **ტ**ამანის პოლკის სკოლას. განსვენებული თურმე ძალიან ხელ-მოჭერილი სცხოვრებდა. **ხ**უთის დღის წინად სიკვდილისა, მან მოიწვია თითქმის შუაღამისას ნოტარიუსი და დააწერინა ანდერძი. გაათავა რა ნოტარიუსმი წერა და ხელი მოაწერინა, განსვენებულმა წარმოსთქვა თურმე ღიმილით და გარკვევით «ეხლა კი მზა ვარ, უფალო, რომ მოგაბარო სული ჩემი! სურვილი ჩემი შევასრულე: ღარიბლატაკთ დავუტოვე ლუკმა, და დეე ეხლა მოვკვდე—აღარა მაქვს-რა სამწუხარო და დასანანი»!.. კუბოზედ იდვა გვირგვინი ამ წარწერით: «Отъ учащихся Таманской школы». მთელი **ტ**ამანის პოლკის ოფიცრობა მოვალე იყო, რათა პატივი ეცა განსვენებულისათვის და გაეცილებინა სასაფლაომდის, მაგრამ ორი - სამი ოფიცრის მეტი არა ყოფილა. **ს**ამი დღის წინად სიკვდილისა, განსვენებულს გამოეცხადებინა სურვილი აქაური მაზრის უფროსის **ნ. ი.** ალექსიევ მესხიევის ნახვისა, მაგრამ—არავის ეცნობებინა უკანასკნელისათვის. **ე**რთი საათის წინად სიკვდილისა, მასთანვე მიეწერა რაღაც ბარათი, მაგრამ არც ის ბარათი აღმოჩნდა სადმე: ალიაქოთში სადღაც გადაეუპულა. ვინ იცის—რა უნდოდა გარდაეცა ბიჩკოვს ბ. ალექსიევ-მესხიევისათვის»?!

≈≈ იქიდამვე გვწერენ: «აქაურ სოფლებშიაც გაჩნდა სახადი. ადმინისტრაცია ებრძვის ამ სენს და იმედი აქვს, რაკი დათბება, სახადსაც მოეღება ბოლო. **ს**ამ-ოთხ სოფელში მოისპო ავად-მყოფობა, ეხლა სამ სოფელშია კიდევ. ძნელი ეს არის, რომ აქაურ სოფლებში მეტად ეშინიანთ ექიმის მისვლისა და დეზინფენქციისა. **დ**იდსა და პატარას ევედრებიან ავად-მყოფნი—შეგვიბრალეთ და ნუ აცნობებთ პოლიციას და ექიმსაო. **ს**აშინლად ეზარებათ ხრჩოლვა გოგირდისა სოფელში. **ღ**ვთის მადლით, რამდენიმე დღეა, კარგი დარები დაიჭირა, თუ მარტმა თავისებურად კუდი არ მოიქნია და არ მოგვაყარა თოვლი.

≈≈ ჩვენ შევიტყეთ, რომ **22** მარტს მომხდარა **ტ**ფილისის აქა-იქ ადგილებში საცოდავი ურიების ცემა ქრისტიანების მიერ. **მ**აგ., ლაპარაკობენ ამისთანა შემაძრწუნებელს ამბავზე თათრის მეიდანში და დახურულს ბაზრებში, რიყეზე, ხოსროევის ქარვასლაში და **შ**ეითანბაზარში. ამ ხსენებულს ადგილებზე, სადაცა ვაჭრობენ წვრილი მედუქნეები, თურმე საცოდავს ურიას არ შეძელო გავლა: უთუოდ გამოუცვივდებოდენ ჯერ პატარა დუქნის ბიჭები, დაუწყებდენ გინებას, ესროდენ პირში ტალახს და სხვანი. **რ**აკი საცოდავი ურია დაინახავდა, რომ საქმე ცუდად არის, მაშინვე გაიქცეოდა. **მ**აგრამ ამით თავს კი ვერა შველოდა,—დაედევნებოდენ ვეებერთელა მედუქნეები, წამოეწეოდენ და ულმერთოდა სცემ დენ საწყლებს. უნდა მართალი თქვას კაცმა, რომ ამ შემთხვევაში პოლიციამ თურმე ბევრი შემწეობა გაუწია ურიებს. **დ**აინახავდენ თუ არა «გოროდოვოიები», რომ ურიას მისცვივნია ხალხი, მაშინათვე გაექანებოდენ მისკენ ფაეტონით, გამოათრევდენ საწყალს ნაცემ კაცსა, ჩააგდებდენ ეკიპაჟში და თან გამხეცებულს ხალხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგერებდენ, თან ურიები მიჰყავნდათ „უჩასტოკში». საღამოს 4 საათიდამ მოკიდებული, ვიდრე შებინდებამდის ხდებოდა ამისთანა საზარელი ამბავი, მხოლოდ დრო გამოშვებით, ესე იგი, როცა კი გამოივლიდა ვინმე უბედური ურია.

მეორე დღეს, 23 მარტს, დილიდამ მოკიდებული, პოლიცია ძალიან მუყაითად ეკიდებოდა საქმეს და ამ სახით მოჰკვეთა შესაზარებელი ამბის გამეორება!..

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. ონიკოვის და კამპ. პურის საცხობმა ქარხანამ ძალიან უკლო თავის მუშაობას, ასე რომ ეხლა ერთი ათად ნაკლებ აცხობს პურსა, ვიდრე აცხობდა ამ რამდენიმე კვირის წინ.

მაინც არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენს გაზეთში, რომ ტფილისი ძალიან უნიჭო ქალაქია ნამდვილს წარმოებაში—და ჩვენი ხალხი არ არის მომზადებული ამისთანა პირდაპირ სამუშაო საქმისთვის.

ეს ხსენებული ქარხანა, სამწუხაროდ, დღეს ამართლებს ჩვენს აზრსა და მის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად ხდება ჯერჯერობით.

მართლაც ძალიან საყურადღებოა ჩვენი ქალაქისთვის ამ ქარხნის აპერაციების შემცირება. ვითომ რა მიზეზი უნდა იყოს? უფულობაა? სრულიადაც არა! ფული მაშინ იყო საჭირო, როდესაც ქარხანასა ჰმართავდენ. რა კი ის ფული იშოვნეს, საიდამაც იყო, რა კი ჩავარდა ქარხნის საძირკველი, გაიმართა საქმე, დატრიალდა ჩარხი,—მერე საკმარისი იყო მისი პატრონების მიერ ცოტაოდენი ენერგია და თაოსნობა, რომ ქარხანას გამუდმებით და უფრო დიდის სიმძლავრით ემუშავნა. მით მომეტებულად, რომ ეხლანდელი ფქვილის სიიაფე, მუშტრის შეჩვევა და მომატება, პურის ღირსება, მისი სისუფთავით ცხობა,—ყოველივე ესენი ხელს უწყობდენ ამ მშვენიერს დაწყობილობას.

მე ვიცი, ჩვენებური ჰუჰყიანი მეფურნე და მეპურეები გაუწევდენ მას კონკურენციას!..

ერთი სიტყვით, საქმე აშკარად სარგებლობის მომცემი იყო და არის. მეტადრე ჩვენს ქალაქში, სადაც ის ქარხანა ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომელიც ფქვილსაც მაშინებითა სცრიდა, ცომსაც მაშინებითა ჰზელავდა, გუნდის ალებ-დალებაშიაც იგივე მაშინა სწევდა სამსახურს,—ჩვენს ქალაქში, სადაც აქაური მეფურნე-მეპურეები ისე უსუფთაოდ, ხელ-პირ დაუბანელნი ჰზელენ ცომსა და ჰუჰყიანადა სცრიან ფქვილს თავის ჰუჰყიანსა და ტალახიანს სადგურებში,—ძალიან დიდი მომავალი ჰქონდა და აქვს ამისთანა ქარხანას. მაგრამ რასა ვხედავთ? იმასა, რომ ქარხანა, 200 ფუთი პურის მაგიერ, რომელსაც აქამდის აცხობდა, ეხლა 20-25 ფუთსა-ღა აცხობს. ნეტავი ვიცოდეთ, რადა?

## «დროების» კორესპონდენცია.

—

დ. ყვირილა, 17 მარტს. «დროების» მკითხველებმა უკვე იციან, რომ დაბა ყვირილაში კარგა ხანია ყვავილი გაჩნდა. ეს ავად-მყოფობა, რამდენიც დრო მიდის, იმდენი უფრო და უფრო ვრცელდება და ედება მცხოვრებლებს. ამ ერთი კვირის განმავლობაში ერთი ხუთიოდე კაცი კიდევაც იმსხვერპლა. არ ვიცი ახლა მაინც რაღას ბძანებს ადგილობრივი ექიმი ბ. უ. რომელიც ამ ცოტა ხნის წინად გაწიწმატებული იბძოდა «დროების» წინაალმდეგ და თავის უსაფუძვლო პასუხში უმტკიცებდა მკითხველებს, რომ დ. ყვირილაში ყვავილი სრულებითაც არ არისო....

ჩვენმა მაზრის უფროსმა ყვავილის მოსასპობლად შემდეგი ორი საშუალება იხმარა ამ უკანასკნელს დროს: პირველად, გასცა ბძანება თავის მაზრაში, რომ სოფლელები აღარ შემოსულიყვნენ ყვირილაში ყვავილის მოსპობამდის, თან ყვავილი არ გაჰყოლოდათ და ამ გვარად სოფლებსაც არ მოსდებოდა; და მეორე, რაც აქ ყვავილით ავად-მყოფები იყვნენ, მათთვის დაიჭირა ერთი ქოხი, ბაზარზე ცოტა მოშორებით და ყველას იქ მოუყარა თავი. თუმცა ეს განკარგულებანი ბ. მაზრის უფროსმა კეთილი განზრახვით მოახდინა, მაგრამ ყვავილის მოსპობაზედ კი ვერ იმოქმედა. სოფლელებმა ვერ დასთმეს თავიანთ საჭიროებისათვის ყვირილაში მსვლელობა; ყვავილი თან გაჰყვა მათ, ყვირილის გარშემო სოფლებს მოედვა ავად-მყოფობა და რამდენიმე კაცი კიდევაც იმსხვერპლა. ყვირილაში მყოფს ავადმყოფებსაც ვერაფერი უშველა ერთ ქოხში ყოფნამ. ესენი აქ ჯერ ისეთს სადგომში არიან, სადაც ავად-მყოფს მოვლაც არა აქვთ სრულებით. ჩვენმა ექიმმა კი, ნაცვლად ავად-მყოფების შველისა, თავის შექცევას მიჰყო ხელი... ეს სამი დღე არც კი გვინახავს ყვირილაში, თურმე ქუთაისში ბძანებულა, გუშინ მობძანდა პასაჟირის მატარებლით და ხალხი მოუთმენლად მიეგება ბ. ექიმს; მაგრამ იგი ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ თითონ უფრო ეჭირვებოდა შველა, თორემ სხვის მოსარჩენის თავი მას არა ჰქონდა....

ყვავილს კიდევ, როგორც იქნება, გადურჩებით, მაგრამ ყვავილზე უარესს დღეს ეს ჩვენი ყვირილელი პატარა «მებუკე» გვაყენებს. «დროების» მკითხველებს კარგად ახსოვთ, რა თავზარი დასცა ამ ცოტა ხნის წინად ქუთათურებს იქაურმა მებუკემ. ვინ იფიქრებდა, თუ ყვირილასთანა პატარა დაბაშიც იქნებოდა მებუკე; მაგრამ ნახეთ, ეს ჩვენი პატარა მებუკე ქუთათურ მებუკეს უსინიდისობაში უკან არ ჩამოურჩება. «ნეუსტოიკები» და «პრანცენტები» ამას უკეთაც სცოდნია. აი, ამ დღეებში ჩვენი მომრიგებელი მოსამართლის სასამართლოში გაარჩიეს ამ პატარა მებუკის საქმე ერთ გლეხთან ფულების თაობაზე. პატარა მებუკეს ბ. ა—ძეს ერთი გლეხისათვის ასი მანეთი უსესხებია ერთის წლის ვადით და ამ ას მანეთში სამასი მანეთის «ნეუსტოიკის და პრაცენტის» პირობა გამოურთმევია. გლეხს დანიშნულ ვადაზე ვერ მოუხერხებია ფული და რამოდენიმე დღე გადაუცილებია. ბ. ა. ა—ძეს მაშინათვე გლეხზე სამასი მანეთის საჩივარი შეუტანია და დღეს მსაჯულმა გლეხისაგან მიცემული «ნეუსტოიკის» პირობის ძალით გარდაუწყვიტა გარდახდეს გლეხს სამასი მანეთი და მიეცეს ა. ა—ძეს. სცოდნია, თუ ვერა ჩვენ პატარა მებუკეს ფულის სარგებლობა! ეს ჩვენი ყვირილელი მებუკე მხოლოდ მითი განირჩევა ქუთათური მებუკისაგან, რომ ყვირილელი მებუკე გახლავთ კაკარდიანი მოხელე, რომელსაც თავის «ნიჭით» თავი იოლად გაუტანია და თავისი მცირე ჯამაგირი ისე გაუმსხვილებია, რომ დღეს ეს პატარა მოხელე ათას მანათებს ათამაშებს...

«მოვიდა ს—ხი, მოიტანა სხვა მეხიო»,—სწორედ ისე მოგვივიდა ჩვენი ყვირილის ახალი მომრიგებელი მსაჯულისაგან. ეს დალოცვილი მომჩივან-მოპასუხეებს იბარებს დილის რვა საათისათვის, თვითონ კი სასამართლოში თორმეტ საათზე შემოდის საქმეების გასარჩევად და მერე საღამოს ხუთ საათამდის არჩევს მათ. თვითონ ამ დროს განმავლობაში რამდენჯერმე გაბძანდება იქვე თავისს სადგომში და დაისაუზმებს, მაგრამ იმას კი არა ჰფიქრობს, თუ რა უნდა ჰქნან საწყალმა მოჩივარ-მოპასუხეებმა დილის რვა საათიდგან მოკიდებული საღამოს ხუთ საათამდის. ან მერე, ხუთ საათზე რომ გამოვლენ, სადღა უნდა წავიდენ? თავიანთ სახლში მისვლას ხომ ველარ მოასწრობენ საღამომდის და ყვირილაში რომ დარჩნენ იმ ღამეს, იქნება აქ ხარჯის თავი არა აქვთ...

მდინარე ყვირილაზე ხიდის გაკეთებას, როგორც იქნა, ველირსეთ ყვირილელები, მაგრამ ბ. ზეზემანმა უდაოდ მაინც არ დაგვტოვა. ხიდი თუმცა გააკეთა და მთავრობასაც ჩააბარა, მაგრამ ძალიან ბევრი ნაკლულევანება აქვს ამ ხიდს. ერთი რომ იგი არის ძალიან სუსტი, ასე რომ ცარიელი კაცი, რომ მიდიოდეს ზედ, შესამჩნევად ინძრევა და ძალიან ადვილი საფიქრებელია, რომ მალე წახდეს წყლისაგან, ანუ დატვირთული ურმების გადატანის დროს. ამ გაზაფხულის წყალდიდობა ახლავე დაეტყო: წყალმა ერთ ადგილას თავში კიდევაც დააზიანა ცოტათი, მერე ისე ვიწრო არის ეს ხიდი, რომ მაზე არ შეუძლიან ორმა ქართულმა ურემმა ერთმანეთს გზა აუქციოს. ამას გარდა, რიკულები-კიდეებზე ისე ცუდად არის მიკრული, რომ ძალიან საფთხილოა ღამე ამაზედ სიარული.

ვაჭრების მდგომარეობა, ხომ ყველგან დაცემულია ეხლა და აბა ჩვენი ყვირილელი ვაჭრები რომ არ იყვნენ კეთილ მდგომარეობაში, ეგ რა გასაკვირველი უნდა იყოს! მაგრამ, საზოგადო სენს გარდა, ამათთვის ჩვენი რკინის გზის კამპანიასაც არ დაუკლია შეწუხება. რკინის გზის კამპანიას ყვირილელებისათვის აქვს აქ საქონლის სტანცია (товарноя станція), სადაც საქონელი უნდა მიიღონ ხოლმე; მაგრამ ეს სტანცია ჯერ ერთი, ვერსტ-ნახევარზედ არის მოშორებული ჩვენს ბაზარზე, და მერე—თითქმის მიუდგომელია ტალახისა და უგზობის გამო. თუ ყვირილისათვის აქვს ეს სტანცია კამპანიას, ძალიან კარგი იქნება, რომ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და სტანცია ცოტა ბაზრის მახლობლად მისადგომ ადგილზე გადმოიტანოს. თუ ამას არ იზამს, იქ მისავალი გზა მაინც გააკეთოს, რომ კაცი მიუდგეს.

## ქართველების კვალი საჩეჩნოში.

ბ. ლაუდაევი, ბუნებითი ჩეჩენი, თავის წერილში «ჩეჩნის ტომი» (Сбор. свѣд. о кав. гор., вып. VI) სხვა და სხვა ადგილას იხსენიებს ქართველებს და მოგვითხრობს მათს ძველი დროის გავლენას ჩეჩნებზედ, მაგ. წერილის მეცხრე გვერდზედ ამბობს: «ზეპირ-გარდმოცემა გვაუწყებს, რომ პირველნი ჩეჩნელთა გვარნი გადმოსულან თოვლიან მთების გადაღმიდამ (სამხრეთის მხრიდამ) და დასახლებულან საჩეჩნოში». შემდეგ განაგრძობს ავტორი:» საფიქრებელია, რომ აზიაში ხალხთა მოძრაობის დროს ქართველნი და მათთან ერთად მთიელთა ტომნი შემოვიდნენ, დასახლდნენ საჩეჩნოში და შეერივნენ იმის მკვიდრ მოსახლეთა. ჩვენს აზრს ამტკიცებს ის გარემოება, რომ ეხლაც საჩეჩნოს მომიჯნავე მხარეები დასახლებულნი არიან შერეულ ტომთაგან, მაგ. მაისტის, მალგის და სხვ. მცხოვრებნი მოგვაგონებენ ხევსურ-ჩეჩნელებსა».

მე 16 გვ. ლაუდაევი მოგვითხრობს, რომ სხვა-და-სხვა დროს საჩეჩნოში უუფლნიათ სხვა-და-სხვა ხალხთა და, სხვათა შორის, ქართველებზე ამბობს: «ქართველთა უფლებას არგუნის მხარეში (საჩეჩნოში) გვიმტკიცებენ ქვის კოშკები, რომელნიც აქამომდე დაშთენილან ამ ქვეყანაში. თუმცა ხალხური ზეპირ-გადმოცემა არას გვეუბნება კოშკების აშენებაზე, მაგრამ შეიძლება იმათი აშენება ქართველებს მივაწეროთ; ამათ შეეძლოთ ჩრდილოეთის კავკასიაში გადასვლა; ჩეჩნელებთან მისასვლელი ბილიკებიც ჰქონდათ და ეს ბილიკები ეხლაც არსებობენ. აღვნიშნავ აგრეთვე, რომ მრავალნი ჩეჩნის გვარნი ჰხადიან თავიანთ თავს ქართველთა ჩამომავლებად. ქართველნი თავის მფლობელობის დროს აშენებდნენ ქვის კოშკებსა ჯარის შესანახავად. ეს კოშკები წააგვანან თავ-გადაკვეთილს ოთხ-კუთხიან პირამიდასა, არიან ვიწრონი და მაღალნი. მკვიდრნი მცხოვრებნი უწოდებენ მათ «ჟალასა» (ციხე); ამ ნაირი სახელ-წოდება აგრეთვე გვიმტკიცებს, რომ იგინი დანიშნული იყვნენ ჯარისათვის. გარდა ამისა, კოშკე-

ბი აშენებულნი არიან იმისთან ადგილას, საიდანაც არე-მარის ყარაულობა და თვალ-ყურის ჭერა ადვილად შეიძლება. შემდეგ დასძინებს ლაუდაკვი: საქართველოს გავლენას საჩენოში გვიმტკიცებს აგრეთვე ფულების ქართული სახელ-წოდებანი, რომელნიც შენახულან ჩენების ენაზე: სოძ (?), აბაზ, შაურ, ანუ შეი (?) (გვ. 43). ცოტა ქვემოთ ავტორს მოჰყავს კვირის დღეების სახელები ჩენურად. აქედან სჩანს, რომ პარასკევი და შაბათი იმათებურად იწოდება: პარასკი, ანუ პერესკი და შაბათი. ავტორს რომ სცოდნოდა ქართული, უეჭველად, დღეების ამგვარ სახელ-წოდებასაც ქართველების გავლენას მიაწერდა.

მ. ჯანაშვილი

## უცხოეთი

— 22 მარტს (ახ. სტ.) ფრანცუზულს გაზეთებს მიუღიათ ტონკინიდგან შემდეგი ამბავი: «გენერალი მილიოს მთავარი შტაბი დაბრუნდა ხანოიში, რათა მოამზადოს ექსპედიცია ხონ-ხოასკენ. დღეს მოვიდენ ხაჰნინგის მცხოვრებლები და მოჩხილება გამოუცხადეს ფრანცუზებს; იმათ თან მოიყვანეს სამი საომრად გაწრთვნილი სპილო. გენერალმა ბრიერ დე'ლილმა დაიპყრო ტხაი-ნგუენის ციხე, რომელსაც 4000 ჩინელი და 500 ანამელი იცავდენ კარგა-ძალი არტილერიითა. ის ხვალ მოვა აქა და თან მოიტანს 40 ზარბაზანს, რომელნიც მტერს წაართვა. მტერი ძაოხანგისკენ და ტუიენ-ძუანგისკენ გაიქცა. გენერალმა ნეგრიემ ფუ-ლანგჯიანში რამდენიმე ბატალიონი დასტოვა და თითონ ხაიძონში მოვიდა. ამ ორი რაზმის ჩქარი მოძრაობა გვიმტკიცებს, რომ ჩვენ შეგვიძლიან ამ ქვეყანაში ისე მოვიქცეთ, როგორცა გვნებავს. ჩვენ ამით უნდა ვესარგებლოთ და ტონკინი დავიპყროთ. ის ფიქრი, ვითომც ჩვენ მარტო ერთი დელტის შემოერთება ვიკმაროთ, ტყუილი ფიქრია. ტონკინში მტერი მოდის გარედამ და ამისათვის საჭიროა დავიპყრათ ყველა გზები, რომელნიც ჩინეთში მიდიან. ეს ერთად-ერთი საშუალებაა, რომ ხარჯი შევიმციროთ. ამ გვარად საჭიროა ავიღოთ ლანგ-სონი და აქედამაც ტხაი-ნგუენი დავიპყრათ.

— ამ დღეებში გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს მიუღია რეიხსტაგის დეპუტაცია, რომლისთვისაც უთქვამს: «მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ პალატა მიიღებს მმართებლობის წინადადებას და განაგრძობს კიდევ სოციალისტების შესახებ, ანუ უკედ რო ვსთქვათ—უწესოების წინაამდეგ კანონსა». იმპერატორს ამისთვის ისიც დაუმატებია, რომ მე კარგად ვიცი საქმის მდგომარეობა და, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩემს სიცოცხლესაც არ დავზოგავ ბოროტებასთან საბრძოლველად და, თუ პალატა უარ-ჰყოფს სოციალისტების შესახებ კანონ-პროექტსა, ამას ჩემ წინაამდეგ მიმართულ მოქმედებად შევრაცხო.

— მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ადმირალმა ჰიუეტმა პროკლამაცია გამოსცა, რომელშიაც 5000 დოლარს ჰპირდებოდა, ვინც ოსმან-დიჰმას დაიჭერდა. ამის შემდეგ 20 მარტს (ახ. სტ.) გამოუცია კიდევ ახალი პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ ზემოხსენებული დაპირება უქმდება და არავითარს საჩუქარს არ მიიღებს ის, ვინც ოსმან-დიჰმას დაიჭერსო. პირველი პროკლამაცია ადმირალისა ბევრს ევროპიელი ხალხის ღირსების დამდაბლებულ მოქმედებად მიაჩნია. მეორე პროკლამაციის შესახებ ის აზრია თურმე გავრცელებული სუაკიმში მცხოვრებ ევროპიელთა შორის, რომ ჰიუეტი თუმცა შესცდა იმაში, რომ თავის მებრძოლი მოწინააღმდეგის თავი დააფასა, მაგრამ ეხლა უფრო დიდი შეცდომა მოუვა, რომ წინანდელი თავის პროკლამაცია გააუქმოსო. თავისი სიტყვა რომ გასტეხოს, ამით როგორც თავის საკუთარს მნიშვნელობას დაჰკარგავს არაბების თვალში, აგრეთვე საზოგადოდ ინგლისის ღირსებასაც დაამდაბლებსო. საყვედური ისმის აგრეთვე სამინისტროზედაც, რომელმაც ადმირალს ჰიუეტს იმისთანა შეუსაბამო საქციელი მოაქმედებინა. ოსმან-დიჰმას,—ამბობენ უკმაყოფილონი,—იქნება კიდეც თავი დაენებებინა სუაკიმის არე-მარესთვის და სხვაგან სადმე წასულიყოო ჰიუეტის პირველი პროკლამაციის გამო, მაგრამ ეხლა კი ის აღარსად წავა, რადგანაც, უეჭველია, ჰიუეტის მეორე პროკლამაცია იმედს გაუღვიძებს და განაგრძობს ჩვენთან ბრძოლას თავის ველური მომხრეებითაო.

— ამას წინად მოვიდა ამბავი, რომ გენერალი გორდონი ჰალფაიეხთან, რომელიც ხართუმის მახლობლად სძევს, დაეცა აჯანყებულებს და დაამარცხა კიდეცაო. მას შემდეგ, რაც გორდონი სუდანშია, ეს იმის მხრივ პირველი ბრძოლაა აჯანყებულებთან. გორდონი საზოგადოდ იმ აზრს ადგას, რომ უომრად დაამშვიდოს სუდანი, მაგრამ ეხლა კი ისეთი გარემოება შემთხვევია, რომ ომი აუცილებლად საჭიროდ დაუნახავს. გორდონის ამ პირველ გამარჯვებაზე ინგლისურს გაზეთებში იწერებიან შემდეგს: «დიდებულნი საქმენი, რომელნიც ამ დღეებში გორდონმა ჩაიდინა ინგლისის დაუხმარებლად, ნათლად გვიმტკიცებენ იმას—თუ რა საქმეების გაკეთებას შეიძლებდა გორდონი, იმას რომ რამდენიმე ასი ინგლისელი სალდათი ჰყვანდეს. იმას რომ ცოტაოდენი ინგლისის ჯარი ჰყვანდეს, მაშინ ხართუმსაც კარგად გაიმაგრებდა და მშვიდობიანობასაც მალე დაამყარებდა ამ ქვეყანაში. ჩვენის აზრით გორდონის დახმარება ჯერ კიდევ გვიან არ არის. პატარა ცხენოსანი ჯარის რაზმი რომ გაიგზავნოს ბერბერისკენ, ეხლაც ბევრს რასმე გააკეთებს». ინგლისური გაზეთები ამასთანავე იმას ამტკიცებენ, რომ ურიგო არ იქნება ინდოეთშიც მოგროვდეს ჯარი, რადგანაც ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა აუცილებლად საჭიროებს ამასაო. გორდონი კი, თუ ვერ წმუნებით გაზეთების სიტყვას, თავის გამარჯვებისთვის თითქო ბოდიშს იხოვს და ამტკიცებს, რომ მე სრულიადაც არა მქონდა განძრახვა მტერს თავ-დასხმოდიო,—მე მხოლოდ მის მოსაგერებლად მოვიმოქმედე საო. ამ გამარჯვების შესახებ ერთი ინგლისური გაზეთის კორესპონდენტისთვის შემდეგი უთქვამს გორდონს: «ერთად-ერთი საბუთი ამ უბედურ მცხოვრებლებზე თავ-დასხმისა არის კანონი თვით-მცველობისა, და ამასთანავე ჩემი მოვალეობა იყო დამეხსნა ის ხალხი, რომელიც მტრისგან დამწყვდეული იყო ჰალფაიეხში და დიდს ტანჯვა-დაგვას ითმენდა». გორდონს ამავე კორესპონდენტისთვის ჰალფაიეხზე გალაშქრების წინად უთქვამს: 800 ჩემი ერთგული კაცი, რომელთაც მე თითონ მივეცი იარაღი, ეხლა ჰალფაიეხში არიან დამწყვდეულნი. მტერი ჰალფაიეხის არემარეშია და ეს შემთხვევა გვისპობს საშუალებას გემებით ჩრდილოეთისკენ სიარულისას. ერთს ორთქლის-გემს, რომელმაც გაბედა ჩრდილოეთისკენ წასვლა, აჯანყებულებმა თოფები დაუშინეს და სამი სალდათი კიდეც დასჭრეს. არა მგონია, აჯანყებულების რიცხვი 4000 კაცს აღემატებოდეს და მე მინდა დავეცე მათ ერთსა და იმავე დროს ხართუმის ქვეითა ჯარითაც, ნილოსში მდგომი შეიარაღებული გემებითაც და თვით მტრისგან გარე-მოცული გარნიზონითაც... აქლემების ქარავნები ყოველ დღე მოდიან აქ და სურსათი მოაქვთ. ეს იმას ამტკიცებს, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს არა აქვთ სურვილი აჯანყებისა და დარწმუნებული ვარ, რომ ხართუმის მახლობლად მცხოვრებლებიც არ მიემხრობიან აჯანყებულებს, თუ იმედს არ გადასწყვეტენ ეხლანდელი ვამგეობის სიმტკიცეზე და ძლიერებაზე».

ამას გარდა, გორდონს კიდევ იმიტომ მოუკიდნია ხელი იარაღისთვის, რომ აჯანყებულები დასცემიან ხართუმის მახლობლად ნეგრებს, რომელნიც გორდონისაგან ყოფილან შეშაზე გაგზავნილნი, და ბევრი მისი ერთგული ნეგრები დაუხოციათ.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

22 მარტს.

პარიჟი. მასავიდგან მოსული «ჰავასიის» სააგენტოს ტელეგრამა იუწყება, რომ მახდი მოკვდაო.

კაირი. გრაჰამმა სუაკიმს თავი დაანება.

ვენა. გაზეთების ცნობები, ვითომც ალბანელები აჯანყებულიყვნენ, ტყუილია; მთელი ალბანია მშვიდობიანად არის.

ბერლინი. პოლიაკი იადშევსკის კითხვის გამო, რომელიც იმან პრუსიის დეპუტატთა პალატას მისცა შესახებ პოზნანის ეპარქიის სამღვდელოების ჯამაგირის დაჭერისა, «ჩრდილო-გერმანიის საზოგადო გაზეთი» ამბობს, რომ ამ კითხვას, ეტყობა, საგნად აქვს პოლშის ნაციონალური მოწინააღმდეგე დასის დახმარება; რუსეთის გერმანიასთან დაახლოვება მთელმა გერმანიამ აღტაცებით მიიღო, როგორც ნიშანი მშვიდობიანობის სიმტკიცისა; მაგრამ პოლშის მოამბოხე დასი კი, რადგანაც გაუმტყუნდა იმედები ომიანობაზე, ცდილობს გერმანიის მოცილე დასს დახმარება გაუწიოს, მაგრამ ეს აგიტაცია მაინც ვერ იმოქმედებს პრუსიის მშვიდობიან პოლიტიკაზე, რომელსაც ადგას იგი თავის კათოლიკე ქვეშევრდომთა შესახებ.

23 მარტს.

ლონდონი. ჰარტინგტონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ბერბერისა და ხართუმისკენ ჯარების გაგზავნას არ ვაპირობთო. გორდონს არა აქვს ნაბძანები, რომ უეჭველად ხართუმში იმყოფებოდეს; იმას ვალად აძევს მხოლოდ იმდენი ხანი დარჩეს, რამდენიც საჭიროა რომ ეგვიპტის გარნიზონები სრულიად სუდანიდამ გამოვიდენ. მაინცა და მაინც მთავრობა აგებს პასუხს, თუ გორდონს აუტყდა რამე. საზოგადოდ ჰარტინგტონი იმ აზრს ადგას, რომ სუდანიდამ გამოსვლა სამჯობინარო იქნებაო; სუაკიმის შესახებ კი სთქვა, რომ იქ ინგლისის მცირე გარნიზონი მხოლოდ დროებით დარჩება და მასუკან ეს ქალაქი ეგვიპტელებს გადაეცემათო. ჰარტინგტონმა სთქვა აგრეთვე, რომ მე ვერ გამოვაცხადებ მთავრობის აზრს შესახებ სამხედრო, ფინანსიური და პოლიტიკური განკარგულებისა ეგვიპტეში; გლადსტონმაც თავის მხრივ შეუძლებელად იცნო—შეჰხებოდა ეგვიპტის ფინანსიურ საქმეებს პარლამენტში, რადგან ამ საქმეებში სხვა სახელმწიფოთაც წილი უდევთო.

ქრისტიანია. აქ შესდგა ახალი სამინისტრო.

# განცხადებანი

ინგლისური რკინის კრავატები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25°/₀-ით უფრო იაფად, იდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფრაკნიკი, საწყაო, სკვბი, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფეჭკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—86)

---

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 9 საათიდგან 1 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: არუთინოვი—9 საათიდამ 10 საათამდინ შიგნეულ ავადმყოფობათა წამლობისათვის, ალიხანოვი და ლისიცევი—10 საათიდგან 11-დე შიგნეულ ავადმყოფობის წამლობისთვის, ექიმი-ქალი პოლტაპოვისა—11 საათიდამ 12-დე ქედა-კაცების და ბავშვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; შტემბორსკი—12 საათიდამ 1-მდე ხირურგიული, სიფილისის და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისთჳს.

ამას გარდა: ზორალევიჩი ორშაბათობით—10 საათიდამ 11-მდე შიგნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 საათიდამ 10-მდე ხირურგიული ავადმყოფობის წამლობისთვის; რეიხი სამშაბათობით და შაბათობით 10 საათიდამ 11-დე თვალის ავად-მყოფობის წამლობისთვის; ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით $11^1/_2$ საათიდამ $12^1/_2$-ამდე შიგნეულ და ნერვების ავად-მყოფობის წამლობისთვის; იანკოვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12 სათამდე შიგნეული ავადმყოფობის და სიფილისის წამლობისთვის; კრასნოპოლიადოვი—ოთხშაბათობით და პარასკევობით 10 საათიდამ 11-მდე შიგნეული ავად-მყოფობისა წამლობისთვის.

კბილის ავადმყოფობის ექიმი პოლფზონი ყოველს დროს მიიღებს თავის სახლში ღარიბ ავად-მყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

---

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკები, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—1)

---

# ჟურნალი „ივერია"

(წელიწადი მერვე)

ამ 1884 წ. იანვრიდამ ჟურნალი «ივერია» გამოვა ყოველ-თთვე და თთვე იმავე სახით და სივრცით, როგორც აქამომდე გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა მიიღება**

**თბილისში:** შავერდოვის სააგენტოში და «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან, სადაც ზედა სართულში «დროების» რედაქციაა და იქავ, შუა სართულში, რედაქცია «ივერიისა».

**ქუთაისში**, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

**ბათუმში**, «წერა-კითხვის საზოგადოების» სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

**ფასი** მთელის წლისა 7 მან., სოფლის მასწავლებელთათვის—5 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ ჟურნალი: **Въ Тифлисъ, въ редакцію журнала «Иверія».**

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

---

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ—ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახელობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классическою Гимназіею, подъ редакціею газ. «Дроэба»). (10—9)

---

ინგლისის მაღაზიაში

**თმის-ამომყვანი** **მაკ-მასტერი**



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—8)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროპები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25°/₀ იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მაწვეები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომპაჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპრიცები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. ა სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—67)

---

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

ქაფურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 3 კ.

მეორისა — — —1 გ. $2^1/_2$

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 5 კ. |
| მეორისა | — —1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა | — —1 გ. | 3 კ. |

ძროხის-მამის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარის. ლავაში | 1 გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 4 კ. |
| მესამისა | — —1 გ. | $3^1/_2$ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 9 კ. |
| მეორის | — —1 გ. | 8 კ. |
| სუკი | . . . —1 გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 10 კ. |

ღორის ღორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გ. | — კ. |
| მეორის | — —1 გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილისა.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. დილისა.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. цензур. Тифлисъ, 23 Марта 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.